- თუ თქვენ კენჭისყრის დღეს იმყოფებით საზღვარგარეთ, ხართ საკონსულო აღრიცხვაზე ან არ ხართ საკონსულო აღრიცხვაზე, მაგრამ არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 21-ე დღისა რეგისტრაციას გაივლით სხვა სახლმწიფოში შექმნილ საუბნო საარჩევნო კომისიაში ან საკონსულო დაწესებულებაში (გარდა ადგილობრივი არჩევნებისა).

ზემოთ აღნიშნულ შემთხვევებში თქვენი მონაცემები შეიტანება სპეციალურ სიაში. ამომრჩეველთა სპეციალურ სიას ადგენს და განკარგულებით ამტკიცებს საოლქო საარჩევნო კომისია კენჭისყრის დღემდე არა უგვიანეს მე-3 დღისა და დაუყოვნებლივ გადასცემს შესაბამის საუბნო საარჩევნო კომისიას.

6. რა უნდა მოვიმოქმედო თუ ავადმყოფობის გამო საარჩევნო უბანზე ვერ მივდივარ?

თუ ამომრჩეველი ავადმყოფობის გამო საარჩევნო უბანზე ვერ მიდის, მას უფლება აქვს წერილობითი ან სატელეფონო განცხადებით, კენჭისყრის დღემდე 2 დღით ადრე, მიმართოს შესაბამის საუბნო საარჩევნო კომისიას გადასატანი საარჩევნო ყუთის საშუალებით ხმის მიცემის მოთხოვნით. კომისიის მდივანი სარეგისტრაციო ჟურნალში მიუთითებს განცხადების/შეტყობინების შემოსვლის ზუსტ დროს/ტელეფონის ნომერს. ამასთან, ამომრჩეველმა უნდა იცოდეს, რომ აღნიშნულ შემთხვევაში მას აქვს მხოლოდ გადასატანი საარჩევნო ყუთის საშუალებით ხმის მიცემის უფლება და საარჩევნო უბანში გამოცხადების შემთხვევაში არჩევნებში მონაწილეობას ვეღარ მიიღებს. გადასატანი საარჩევნო ყუთით ხმის მიცემის მოთხოვნა შეუძლია:

- ამომრჩეველს, რომელსაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლია კენჭისყრის შენობაში მისვლა;
- ამომრჩეველს, რომელსაც შეზღუდული შესაძლებლობის გამო არ შეუძლია კენჭისყრის შენობაში მისვლა (მხოლოდ ის ამომრჩეველი, რომელსაც დამოუკიდებლად არ შეუძლია საარჩევნო უბანში მისვლა);
- ამომრჩეველს, რომელიც იმყოფება საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე, მაგრამ ძნელად მისადგომ ადგილას.

ამომრჩევლის მონაცემების შეტანა სიის დანართში (გადასატანი ყუთის სია) შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:

- ამომრჩეველი შეყვანილია აღნიშნული საარჩევნო უბნის ერთიან სიაში ან სპეციალურ სიაში და
- ამომრჩეველი ფაქტობრივად იმყოფება ამ საარჩევნო უბნის საზღვრებში.

საუბნო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებით სიის დანართში შეაქვთ შემდეგი კატეგორიის ამომრჩევლთა შესახებ სპეციალურ სიაში არსებული მონაცემები: ამომრჩევლები, რომლებიც იმყოფებიან წინასწარ პატიმრობაში ან/და საავადმყოფოში, ასევე ამომრჩევლები, რომლებიც იმყოფებიან სახელმწიფო საზღვარზე განლაგებულ სამხედრო ნაწილში. (თუ წინასწარი პატიმრობის ადგილი, საავადმყოფო, სასაზღვრო ნაწილი იმყოფება შესაბამისი საუბნო საარჩევნო კომისიის საზღვრებში).

7. შემიძლია თუ არა არჩევნებში მონაწილეობა მივიღო როგორც დამკვირვებლმა და რა უნდა მოვიმოქმედო ამისთვის?

საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად, არჩევნებზე დაკვირვებას აწარმოებენ ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაციები. საარჩევნო სუბიექტები (პოლიტიკური პარტიები, კანდიდატები) საარჩევნო ადმინისტრაციასთან ურთიერთობას აწარმოებენ საკუთარი წარმომადგენლების მეშვეობით. საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლები კანონით დადგენილ შემთხვევებში, ასევე, სარგებლობენ დამკვირვებლის უფლებებით. არჩევნებს აქტიურად აკვირდება და აშუქებს მედია, თუმცა მედიის წარმომადგენლებს გააჩნიათ მხოლოდ გარკვეული უფლებები საარჩევნო პროცესებთან მიმართებაში.

თუ გსურთ დააკვირდეთ არჩევნებს როგორც ადგილობრივი დამკვირვებელი, უნდა გახდეთ მოხალისე ან/და გაწევრიანდეთ ადგილობრივ დამიკვირვებელ ორგანიზაციაში, რომლის წესდება ან დებულება ითვალისწინებს არჩევნებზე მონიტორინგს ან ადამიანის უფლებათა დაცვას და რომელიც არჩევნებზე დაკვირვების მიზნით რეგისტრირებულია შესაბამის საარჩევნო კომისიაში..

დამკვირვებელს შეუძლია დააკვირდეს ნებისმიერ საარჩევნო პროცედურას საარჩევნო პროცესის ყველა ეტაპზე: წინასაარჩევნო პერიოდში, არჩევნების დღეს და არჩევნების დღის შემდგომ პერიოდში.

8. როგორ კომპლექტდება საარჩევნო საუბნო კომისია და შემიძლია თუ არა გავხდე მისი წევრი?

საუბნო საარჩევნო კომისია არის საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის დროებითი ტერიტორიული ორგანო, რომელიც თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე, უზრუნველყოფს არჩევნების კანონიერად ჩატარებას, საარჩევნო კანონმდებლობით დადგენილი კენჭისყრის პროცედურების მიმდინარეობას, ამომრჩეველთა, საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელთა და დამკვირვებელთა უფლებების დაცვას.

მოქმედი კანონმდებლობით საუბნო საარჩევნო კომისია შედგება 13 წევრისგან. საუბნო საარჩევნო კომისიის 6 წევრს კონკურსის საფუძველზე ირჩევს საოლქო საარჩევნო კომისია, ხოლო 7 წევრს ნიშნავენ საარჩევნო კოდექსის შესაბამისად უფლებამოსილი კვალიფიციური პარტიები. აქედან გამომდინარე, საარჩევნო კომისიის წევრობისათვის არსებობს ორი გზა: მონაწილეობა მიიღოთ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის თანამდებობაზე შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ გამოცხადებულ კონკურსში, თუ თქვენ აკმაყოფილებთ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის თანამდებობის დასაკავებლად საარჩევნო კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს; ან საუბნო საარჩევნო კომისიის წევრად დაინიშნოთ შესაბამისი კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტის, ანუ პარტიის მიერ. ამასთან, მნიშვნელოვანია რომ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი არ არის მისი დამნიშვნელი/ამრჩევი სუბიექტის წარმომადგენელი. იგი თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციასა და კანონს. რაიმე ზემოქმედება საარჩევნო კომისიის წევრზე ან მის საქმიანობაში ჩარევა, აკრძალულია და ისჯება კანონით.

ALPE

ილია ჭავჭავაძის გამზირი 54; მე-5 სადარბაზო, მე-4 სართული
0179, თბილისი, საქართველო; ტელ: +995 32 2220016
E-mail: office@alpe.ge
www.alpe.ge

www.facebook.com/presidentialelection20013.ALPE

წარმატებული არჩევნები

მდგრადი დემოკრატია!

ALPE

MDF
მოდების განვითარების ფონდი

> საქართველოს ყოველ მოქალაქეს 18 წლის ასაკიდან აქვს რეფერენდუმში, სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში მონაწილეობის უფლება. უზრუნველყოფილია ამომრჩეველთა ნების თავისუფალი გამოვლინება.
>
> საქართველოს კონსტიტუცია | მუხლი 28

საარჩევნო უფლება

საქართველოში საარჩევნო უფლება გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციით; საქართველოს საარჩევნო კოდექსით, საერთაშორისო სამართლის პრინციპებით და ნორმებით და სხვა საკანონმდებლო აქტებით.

საარჩევნო კოდექსის თანახმად არჩევნები არის საჯარო პროცესი, რომლის დანიშნულება და შედეგია ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოებისა და საჯარო ხელისუფლების თანამდებობის პირთა არჩევა საყოველთაო არჩევნებით.

საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის, საკრებულოების და ქალაქ თბილისის მერის არჩევნების მომზადების და ჩატარების წესებსა და სამართლებრივ საფუძვლებს, ასევე, არჩევნებში მონაწილე მხარეთა უფლებებსა და გარანტიებს, ადგენს საქართველოს საარჩევნო კოდექსი.

1. როგორ და სად შემიძლია შევამოწმო ვარ თუ არა ამომრჩეველთა სიაში?

არასაარჩევნო პერიოდში, ნებისმიერ დროს, ამომრჩეველს, საარჩევნო რეგისტრაციის მქონე პარტიას/საარჩევნო ბლოკს და დამკვირვებელ ორგანიზაციას უფლება აქვთ გაეცნონ ამომრჩეველთა სიების საჯარო ინფორმაციისათვის მიკუთვნებულ ვერსიას საქართველოს ცენტრალურ და საოლქო საარჩევნო კომისიებში. საარჩევნო პერიოდში, ამომრჩეველთა სიების საჯარო ინფორმაციისათვის განკუთვნილი ვერსიის გაცნობა შესაძლებელია ასევე საუბნო საარჩევნო კომისიებში. საუბნო საარჩევნო კომისია ამომრჩეველთა ერთიან სიას საოლქო საარჩევნო კომისიისგან იღებს არა უგვიანეს პირველი შეკრების დღისა და დაუყოვნებლივ აკრავს საჯარო ინფორმაციისთვის განკუთვნილ ვერსიას საუბნო საარჩევნო კომისიის შენობაში თვალსაჩინო ადგილას. ამომრჩეველს უფლება აქვს მოითხოვოს მხოლოდ მის და მისი ოჯახის წევრთა შესახებ არსებული ყველა მონაცემის გაცნობა და მათში ცვლილებების შეტანა.

2. რა უნდა მოვიმოქმედო თუ ჩემი მონაცემები ამომრჩეველთა სიაში არ აღმოჩნდა?

სიაში უზუსტობის აღმოჩენის შემთხვევაში თქვენ უნდა მიმართოთ შესაბამის კომისიას, არასაარჩევნო პერიოდში ნებისმიერ დროს, – ცენტრალურ და საოლქო საარჩევნო კომისიებს, ხოლო საარჩევნო პერიოდში – ასევე, საუბნო საარჩევნო კომისიებს, არჩევნების დღემდე არაუგვიანეს მე-16 დღისა. სიაში შესწორების შეტანის მოთხოვნით უნდა წარადგინოთ პირადობის დამადასტურებელი მოწმობა და შეავსოთ სპეციალური ფორმა. საარჩევნო უბნებში გამოკრული სიის საჯარო ვერსიებში აღმოჩენილი უზუსტობისას ან თქვენი მონაცემების სიაში არარსებობის შემთხვევაში, თქვენი განცხადებები დაუყოვნებლივ, მაგრამ არჩევნების დღემდე არა უგვიანეს მე-16 დღისა, საუბნო საარჩევნო კომისიამ უნდა გადასცეს საოლქო საარჩევნო კომისიას, რომელიც განიხილავს შემოსულ განცხადებებს და იღებს გადაწყვეტილებას 2 დღის ვადაში. საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულება ამომრჩეველთა მონაცემებში/სიებში ცვლილების შეტანაზე უარის თქმის შესახებ, საუბნო საარჩევნო კომისიამ განკარგულების გამოცემის მომდევნო დღიდან, მოთხოვნისთანავე, უნდა გადასცეს განმცხადებელს. თქვენ შეგიძლიათ განკარგულება უარის თქმის შესახებ გაასაჩივროთ შესაბამის რაიონულ/საქალაქო სასამართლოში.

ამომრჩეველთა სიაში საკუთარი მონაცემების გადამოწმება თქვენ ასევე შეგიძლიათ ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალურ ვებგვერდზე, სადაც სხვა მნიშვნელოვან ინფორმაციასთან ერთად განთავსებულია ამომრჩეველთა სიებში მონაცემების გადამოწმების სპეციალური პროგრამა. ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალური ვებგვერდის მისამართია: www.cec.gov.ge

3. რა საიდენტიფიკაციო საბუთი შემიძლია წარვადგინო ამომრჩეველთა სიაში მოსახვედრად?

ამომრჩეველთა ერთიან სიაში შეიტანება საარჩევნო ასაკის (საქართველოში საარჩევნო ასაკი აითვლება 18 წლიდან) და საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქის კანონმდებლობით დადგენილი მონაცემები. ამომრჩეველთა ერთიანი სია დგება სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ, წელიწადში ოთხჯერ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიისათვის მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე.

იმ შემთხვევაში, თუ თქვენი მონაცემები სიაში არ არის, ან თუ ამომრჩეველთა სიაში უზუსტობა აღმოაჩინეთ, უნდა მიმართოთ შესაბამის საარჩევნო კომისიას და წარადგინოთ საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, ხოლო იძულებით გადაადგილებული პირის შემთხვევაში – დევნილის მოწმობა. გამონაკლის შემთხვევაში, სავალდებულოა დამატებითი დოკუმენტების წარდგენა, მაგალითად პასპორტში არსებული ჩანაწერი საზღვრის გადაკვეთის შესახებ, ცნობა სტაციონარული სამკურნალო დაწესებულებიდან, სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან გათავისუფლების ცნობა.

4. რა უნდა მოვიმოქმედო თუ არჩევნების დღეს აღმოჩნდება, რომ ამომრჩეველთა სიაში ჩემი მონაცემები არ არის?

საქართველოში არსებობს სამი სახის სია: ამომრჩეველთა ერთიანი სია, ამომრჩეველთა სპეციალური სია და ამომრჩეველთა სიის დანართი (ე.წ. გადასატანი ყუთის სია). საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობა არჩევნების დღეს რაიმე ტიპის დამატებითი სიის არსებობას არ ითვალისწინებს. იმ შემთხვევაში, თუ ამომრჩეველმა არ მიმართა კანონით დადგენილი წესით და ვადებში შესაბამის საარჩევნო კომისიას ამომრჩეველთა სიაში მისი მონაცემების დამატების ან მათში შესწორების შეტანის მოთხოვნით, მას შეეზღუდება ხმის მიცემის უფლება, გარდა ქვემოთ ჩამოთვლილი შემთხვევებისა.

არჩევნებამდე 16 დღის განმავლობაში, მათ შორის არჩევნების დღესაც, ამომრჩეველი შეიძლება დაემატოს ამომრჩეველთა სპეციალურ სიას მხოლოდ სამ გამონაკლის შემთხვევაში. ეს შემთხვევებია:

- თუ ამომრჩეველი ჩამოვიდა საზღვარგარეთიდან და კანონით დადგენილ ვადაში (არჩევნების დღემდე არა უგვიანეს მე-16 დღისა) ვერ გადაამოწმა ამომრჩეველთა ერთიან სიაში საკუთარი მონაცემების სისწორე. ასეთ შემთხვევაში, ამომრჩეველმა უნდა წარადგინოს საქართველოს მოქალაქის პასპორტი, რათა საარჩევნო კომისიამ შეამოწმოს მის მიერ საქართველოს საზღვრის გადმოკვეთის ფაქტი და თარიღი. რის შემდეგაც, საარჩევნო კომისია გადაიღებს მოქალაქის პასპორტის ასლს და მის მონაცემებს შეიტანს ამომრჩეველთა სპეციალურ სიაში;
- თუ ამომრჩეველი არჩევნების დღემდე არა უგვიანეს მე-16 დღისა გათავისუფლდა სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან და შესაბამისად, ვერ გადაამოწმა ამომრჩეველთა ერთიან სიაში საკუთარი მონაცემების სისწორე. ასეთ შემთხვევაში, ამომრჩეველმა უნდა იქონიოს სასჯელაღსრულების დაწესებულების მიერ გაცემული ცნობა. საარჩევნო კომისია გადაიღებს აღნიშნული ცნობის ასლს და ამომრჩეველის მონაცემებს შეიტანს ამომრჩეველთა სპეციალურ სიაში;
- თუ ამომრჩეველი არჩევნების დღემდე არა უგვიანეს მე-16 დღისა გამოეწერა საავადმყოფოდან და ვერ გადაამოწმა ამომრჩეველთა ერთიან სიაში საკუთარი მონაცემების სისწორე. ასეთ შემთხვევაში, ამომრჩეველმა უნდა წარადგინოს შესაბამისი სამკურნალო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობა. საარჩევნო კომისია გადაიღებს აღნიშნული ცნობის ასლს და ამომრჩეველის მონაცემებს შეიტანს ამომრჩეველთა სპეციალურ სიაში.

5. რა უნდა მოვიმოქმედო თუ ვიცი, რომ არჩევნების დღეს რეგისტრაციის ადგილას არ ვიქნები?

საქართველოში ამომრჩეველთა ერთიანი სია დგება საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობაში მითითებული რეგისტრაციის მისამართის საფუძველზე. შესაბამისად, თუ არჩევნების დღეს არ იმყოფებით რეგიტრაციის ადგილას, თქვენ შეგეზღუდებათ არჩევნებში მონაწილეობის შესაძლებლობა, გარდა შემდეგი გამონაკლისი შემთხვევებისა:

- თუ თქვენ დაინიშნეთ საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელედ და საარჩევნო კომისიაში საქმიანობის გამო კენჭისყრის დღეს ხმას ვერ აძლევთ თქვენს საარჩევნო უბანში;
- თუ თქვენ ხართ ამომრჩეველი, რომელიც სამკურნალოდ წევს საავადმყოფოში ან სხვა სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებაში და თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, კენჭისყრის დღისთვის ვერ იქნებით გაწერილი ამ დაწესებულებიდან;
- თუ თქვენ ხართ ამომრჩეველი, რომელიც კენჭისყრის დღეს იმყოფება წინასწარ პატიმრობაში;
- თუ თქვენ ხართ საქართველოს თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების სამხედრო (გასამხედროებული) ძალებისა და შენაერთების ვადიანი და საკონტრაქტო სამსახურის სამხედრო მოსამსახურე;
- თუ თქვენ კენჭისყრის დღეს იმყოფებით ნაოსნობაში (გარდა ადგილობრივი არჩევნებისა);